გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ჩიდჟეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი

ქართული თეატრი

კვირას, 19 აპრილს,

ქართულის დრამატიულის დასის არტისტი ა. მაქსიმიძე

გამართავს წარმოდგენას

**ქოროღლი**

ტრაგედია ოთხს მოქმედებად, თხზ. ზ. ანტონოვისა.

წარმოდგენის შემდეგ იქნება

**ლეკური.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ანდრონიკოვისა, ლეონიძისა, თამაროვისა, ბ-ნი: მოხევე, ცაგარელი, მაქსიმიძე, კაველი და სხვანი.

დასაწყისი 8 საათზედ

ფასები ჩვეულებრივია

ტფილისი, 16 აპრილი

საფრანგეთის მეცნიერი სახელ-განთქმული რენანი, ჰლაპარაკობს რა ქრისტეს აქედ პირველის საუკუნის ნახევარზედ და გვიხატავს რა მთელის ქვეყნიერობის ცხოვრების სურათს ამ ხანში, ამბობს, რომ თუმცა რომის იმპერია მოწამლული იყო მრავალ გვარის მწიკვლითა და გარყვნილობითა, მაგრამ მაინც ეს დრო იმისთანა არ იყო, რომ კაცს ამ მხრით სასოება წარეკვეთნა და ქვეყნის ზნეობითად დამხობის მოლოდინს მისცემოდაო. „მართალიც არისო, განაგრძობს რენანი: ძველი სული რომისა კიდევ სცოცხლობდა და ჰქტრიალებდა. პატიოსნება კაცურის ხასიათისა ჯერ შორს იყო საუკუნოდ წაწყმენდისაგან და არ გამქრალიყო. დიდნი ანდერძნი თავ-მოწონებულის რიდისა და სათნოებისა შეიკედლა თავის საფარველს ქვეშ ზოგიერთმა ოჯახმა, რომელმაც იმპერატორის ნერვის დროს ხელის უფლებამდე მიაღწიეს და ბრწყინვალე შარავანდედი მოჰფინეს ანტონინების საუკუნესა, მშვენ-მეტყველებით ტაციტის მიერ აღწერილსა. იგი დრო, რომელმაც გამოზარდა, გამოაყენა, ახეირა ისეთი ღრმად პატიოსანის ჭკუის კაცნი, როგორც კვინტილიანი, პლინი უმცროსი, ტაციტი, იმისთანა არ იყო, რომ შესაძლო ყოფილიყო ადამიანი სასო-წარკვეთილებას მისცემოდა. უმართებულობა ზედა-პირისა თავის დღეში არ დასწვდენია იმ დიდს საძირკველს პატიოსნებისას და ჭკვათა-მყოფობისას, რომელსაც რომის კარგი საზოგადოება შეადგენდა. ზოგიერთი ოჯახები ჯერ კიდევ თავ-დადებულნი იყვნენ კეთილ-ზნეობისათვის, მოვალეობის ერთგულობისათვის, თანხმობისა და სათნოებისათვის. კეთილ შობილ სახლეულობაში კაცი შეხვდებოდა დიდად პატიოსანს მეუღლეს, მშვენიერს და დიდად პატიოსანს დასა. განა ყოფილა ვისიმე ბედი ისე გულ-შესატკივებელად სამაგალითო, როგორც ახალგაზდა და უბიწოებით სავსე ოკტავიასი, კლავდიის ასულისა და ნერონის ცოლისა, რომელსაც სიწმინდე თვისი არ შეუბღალვია არც ერთის მოქმედებითა, თუმცა ბიწი, მწიკვლი გარს ეხვია? იგი ოც-დაორის წლისა მოაკვდინეს, ესე იგი, მაშინ, როცა ჯერ არც ერთი სიხარულიც არ ეგემნა ქვეყნიერობაზედ. ცოლები ქმრებს მისდევდნენ ექსორიაში, სხვები ქმრებთან ერთად ჰრჩეობდნენ სახელოვანს სიკვდილსა. ძველი სადა ცხოვრება რომისა არ იყო გამქრალი, შვილებს დიდის ზრუნვით და თავ-დადებით ჰზრდიდნენ. ქალები დიდის ოჯახებისა და გვარეულობისა არა ჰთაკილობდნენ მატყლის კეთებასა და რთვასა; მორთვისა და პრანჭიაობის ზრუნვა კარგს ოჯახებში თითქმის არც კი იცოდნენ, რა არის."

გარდა ამისა რა საოცარი მაგალითებია მაშინდელ კაცების დიდ-ბუნებოვანობისა. ნუ თუ მართლა გამოკეთების ძალნი თვითვე არა აქვს იმ საზოგადოებას, რომელიც ჰბადავს, ჰზდის და გამოაყენებს ხოლმე მტკიცე ხასიათების კაცებს, გმირებს? განა ამ შემთხვევაში სამართლიანად ხელზედ დასახვევი და ჰკუად-მისაღები საბუთი არ არის, მაგალითებრ, ჰელვიდი პრისკუსის გმირობა, რომელსაც თვით რენანი მოგვითხრობს? ეს ჰელვიდი ვესპასიანის დროსა სცხოვრებდა და რადგანაც ამხილებდა იმ დროების ბოროტსა, სიკვდილით დასჯა გადუწყვიტეს და როცა ვესპასიახმა ეს გამოუცხადა,—ჰელვიდმა მშვიდობიანად და თავ-მოწონებით უთხრა: „შენი საქმეა კვლა და ჩემი საქმე კი კაცურად სიკვდილიო". ანუ, მაგალითებრ, დემეტრე ცინიკის ამბავი, როცა განრისხებულს და გამწყრალს ნერონს უპასუხა: «თქვენ ძე მემუქრებით სიკვდილს და ბუნება თქვენ გემუქრებათ მაგასვეო".

ამისთანა კაცების აღმზდელი და სულის ჩამდგმელი ძალი დიდი ძალია და ამ ძალის მქონე საზოგადოებას ვერ ეთქმის, რომ ფესვი ცხოვრებისა შეჰსუსტებია.

ამაებზედ აფუძნებს რენანი იმ აზრს, რომ სადაც მის მიერ ჩამოთვლილნი სათნოებანი ჯერ კიდევ არსებობენ, ბინას ჰპოულობენ და თავს ირჩენენ, იქ საზოგადოება ჯერ შორს არის აღმოფხვრისაგანა და გამძლეობის ძალნი თვითვე აქვსო. კაცობრიობა კი არა, რომი დაეცა, ვითარცა თვით-მპყრობელი მაშინდელის ქვეყნისა და მის გასამძლეო ნაშთზედ აშენდა ახალი ქვეყანა, წარმოდგნენ სხვა ახალნი, თუ ძველნი ერნი, რომელთაც დღეს სვებედი ქვეყნიერობისა ხელთ უპყრავთ და კაცობრიობას წინ უძღვებიან.

ჩვენ ამ აზრის გარჩევაში არ შევალთ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ძალიან დასაფიქრებელი აზრია, გულში მეტად მოსახვედრია და დასაჭდევი. მართალია იგი, თუ არ არის მართალი რომის ისტორიის ახსნისათვის, მაინც ძნელია კაცმა მაგ აზრს ანგარიში არ გაუწიოს, როცა რომელისამე ერის ყოფა-ცხოვრებაში ღრმად ჩაიხედავს. ეს ერთი კი, ჩვენის ფიქრით, უეჭველია: თუ რენანის მიერ ჩამოთვლილნი სათნოებანი დედა-კაცობისა, თუ მამა-კაცობისა, აქა-იქ საზოგადოებაში დარჩენილნი, არ არიან თავ-მდებნი ბევრ წილად მიხრწნილის ერის გამოკეთებისა, გამობრუნებისა, ამ სათნოებათა არ-ქონა კი უსათუო ნიშანია, რომ ერი ქვეყნის ზურგიდამ ასაგველად გადადებულია. თუ ამ სათნოებათა განტი-კუნტად ქონა ვერ შესძლებს ერი წინ წააყენოს გამოკეთების გზაზედ, არ-ქონა კი უსათუოდ უკან დამწევი მიზეზია. ამიტომაც ერს, რომელსაც დღეგრძელობა და მერმისი ჰსურს, ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს: სათნოება დარგოს და ახაროს თავის გულში, თავის ოჯახში. ამისათვის საჭიროა ზნეობის ამაღლება და გაწმენდა. ამაზედ უნდა მიიქცეს მთელი ღონე ერის გულ-შემატკივარის კაცისა. იგი დედა, თუ მამა, რომელიც თვისის შვილისათვის მზრუნველობას იმაზედ არ მიაქცევს, რომ კაცური კაცი გამოუვიდეს, იგი შია, რომელიც თავის ერს მერმისის ძირს უთხრის და უღრღნის დღე მუდამ და იქნება არც კი ჰგრძნობდეს, რა ცოდვაში ჰდგება: იგი ნელ-ნელა ჰლესავს დანას, რომელმაც ადრე იქნება თუ გვიან ყელი უნდა გამოსჭრას მისვე შთამომავალსა, მისვე ერსა.

## ახალი ამბავი

*** † ოთხშაბათს, ამ თთვის 15-ს, დილის რვა საათზედ ტფილისში გარდაიცვალა ანთებით თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე ჩიქოვანი, ორმოც-და-ექვსის წლისა. განსვენებული იყო საკმაოდ კარგის ენით მთარგმნელი რამდენისამე თხზულებისა ქართულს ენაზედ: საქართველოს მოამბეში 1863 წელს იბეჭდებოდა მისგან შეცვლით ნათარგმნი ვიქტორ ჰიუგოს რომანის („საბრალონი") რამდენიმე პირველი თავი. შემდეგ 1871 წ. «კრებულში» (წიგნი II და III) დაიბეჭდა გოგოლის მოთხრობა: „რაზედ მოუვიდა ჩხუბი ივან ნიკიფორიჩს ნიკიფორ ივანიჩთან", და ამ შვიდიოდ წლის წინად სთარგმნა სასცენო სურათი «ბნელ ოთახში». განსვენებული იყო შვილი მრავალ ლექსების დამწერის თავად ალექსანდრე ჩიქოვანისა, რომლისაც ნაწერები „ცისკარი"-ს პირველ ხანებში საკმაოდ ცნობილი იყო ქართველ მწერლებისაგან. ეს ნაწერები უთაურობით ავტორის სიკვდილის შემდეგ დაიკარ-

# ფელეტონი

## ეთნოგრაფიული წერილები

(წერილი მეათე)

ყველა საბჭო განაჩენს აღსრულებაში მოყვანა უნდა: უამისოდ სამართალს ძალა არ ექნებოდა. აღსრულებითი წარმოება ხევსურულის სამართლისა ისეთისავე ხასიათისა და მიმართულებისაა, როგორც თვით სამართალი. ბჭობა ბჭეების დასხმა კერძო პირებზედ არის დამოკიდებული; განაჩენის აღსრულებაც კერძო პირის ვალია, არა რაიმე საზოგადოებრივს ძალას აქ ხელი არა აქვს. ძველს საქართველოში, სადაც სამართალი თვით სახელმწიფოს ეპირა ხელში, ცალკე მოხელენიც იყვნენ, რომელთაც სასამართლოს განაჩენი აღსრულებაში მოჰყავდათ. სჯულთ-მდებელი (მუხ. დ) პირ-და-პირიხსენიებს, რომ მოსამართლეს აღმსრულებელნი პირნი უნდა ჰყვანდესო; ამ პირთა იასაულები ერქვათ და კანონიც ამ სახელს უწოდებს მათ. თუმცა კანონში ცხადად არ არის მოხსენებული, რომ იასაულს განაჩენი უნდა აღესრულებინა, მაგრამ რომ სწორედ ეს იყო მათი მოვალეობა სჩანს «დასტურლამალი»-დგან (გვ. 16—17), სადაც სხვათა შორის ნაჩვენებია, თუ რამოდენი წილი ერგებოდა იასაულს. იასაული ორ გვარი იყო: სასამართლო საქმეების მცოდნე და პოლიციის მოხელე. ჩვენ ვგონებთ, რომ პირველ გვარის იასაული აღსრულებდა განაჩენს. როგორც საბა სულხან ორბელიანი ამბობს, ბოქაული იგივე იასაულია, ხოლო იასაულს ქართულად მანდატური ეწოდება. რაც უნდა იყოს, განაჩენის აღსრულება სახელმწიფო მოხელეების საქმეს შეადგენდა და ეს არის აქ ჩვენთვის საჭირო. საბჭო სამართალმა კი, როგორც შევნიშნეთ, ამ გვარი მოხელეობა არ იცის. ამის ნაცვლად მან იცის მზევლობა. ეს მზევლობა შესანიშნავი და საყურადღებო დაწესებულებაა და ამიტომაც ღირს მაზედ ვრცლად ბაასი.

ზოგიერთებს და მათ შორის ბ-ნ ა. ყაზბეგსაც, „ივერია" 1881 წ. № 5, გვ. 112, წერილი „გადაკარგული მხარე", მზევლობა და თავდებობა ერთი და იგივე ჰგონიათ. ეს შეცდომაა. თავდებობის, როგორც იურიდიულის დაწესებულების, ხასიათი და ბუნება სხვაა, მზევლობისა კიდევ სხვა; მათ შორის მხოლოდ გარეგანი მგზავსებაა, მეტი არა ფერი. ჩვენის სამართლის შეხედულობით, თავდებობისათვის მიუცილებლად საჭიროა თავდების სრული ნება და სურვილი,—„თავდებობისათვის ასრე უნდა იქმნას, რომ კაცი კაცთან თავდებად თითონ უნდა მივიდეს, თავისის ნებით... კაცმან კაცი ძალად უნდა მიიყვანოს, იმ თავდებობას ნუ ირწმუნებენ" (მუხ. სლე; იხილე ეგრეთვე აღბუღას სამ. მუხ. ჲთ, ო); როცა თავისი ნება არაა, მაშინ თავდებობაც არ შეიძლება. ხევსურული მზევლობა-კი სულ სხვას თხოულობს: მზევლად ვინც გსურს, იმას დააყენებ, მზევალს არა ეკითხვის-რა, იმისი ნება და სურვილი არაფერს შუაშია. ჩვენის აზრით, მზევლობა საკუთარი ხევსურული ჩვეულებაა და ძველს სამართალთან საერთო არა აქვს-რა. აი თითონ ეს მზევლობაც:

როცა საქმე გადასწყდება და განაჩენის ძალით ბრალდებულს გარდასახადი დაეკისრება, რასაკვირველია, ბრალდებულმა ეს გარდასახადი მოპირის-პირეს უნდა მისცეს; მაშინათვე აძლევს კიდეც, თუ შეძლება და სურვილი აქვს. მაგრამ, შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ ბრალდებული მძლავრი კაცია ან ბეჩავი და ამიტომ არაფერს არ აძლევს თავის მოპირის-პირეს; ერთის სიტყვით, განაჩენის აღსრულება ან არა ჰსურს, ან არ შეუძლიან. სწორედ ამ ორს შემთხვევაში საჭიროა მზევალი. მთელი სამართლის წარმოება კერძო პირის ენერგიაზედ არის დამოკიდებული; მზევლობაც ამ ენერგიის ნაყოფია, მხოლოდ საჭიროა, რომ მზევლობას ზოგიერთი იურიდიული თვისება ჰქონდეს, სახელდობრ: მზევალი უეჭველად ბჭეების თანა-დასწრებით უნდა დაიჭირონ, დაასახელონ და გარდა ამისა, მზევლის დამჭერელმა თვითეულს ბჭეს ყურზედ ხელი უნდა მოჰკიდოს და სთქვას—თქვენის გაგონებით ვიჭერო, მოწამენი თქვენა ხართო; ამის შემდეგ მზევლობას სრული ძალა ეძლევა, იგი იურიდიულ დაწესებულებად ხდება. დაჭერის და დასახელების დროს მზევლის ადგილობრივ ყოფნა საჭირო არ არის; მზევლად დაყენებული შეიძლება შორს სადმე იყოს, არც-კი იცოდეს, რომ ის მზევლად დაიჭირეს. ხოლო მზევალი შორეული არ უნდა იყოს; მაგალითებრ, პირ-აქეთელს დავა რამ ჰქონდეს პირ-იქითელთან და საქმე მოუგოს, პირ-იქითელმა მზევალი პირ-იქით უნდა დაიჭიროს. თემს აქ მნიშვნელობა არა აქვს,—მზევალი შეიძლება სხვა თემისაც იყოს. მზევალი შეძლებული კაცი უნდა იყოს და ეს ადვილად მისახვედრია, რადგანაც, ჩვეულების ძალით, თითონ მზევალმა უნდა გადაიხადოს განაჩენით გადაწყვეტილი გარდასახადი. როდის იწყობა მზევლის მოქმედება? განაჩენი შეიძლება დადგენის უმალვე აღსრულდეს, შეიძლება შემდეგშიაც. ამ უკანასკნელს შემთხვე-

გა. განსვენებული გიორგი ჩიქოანი სასამართლოში მსახურებდა და ბოლოს ხანებში ქალაქის გამგეობის ვექილი იყო; მას ცოლ-შვილი არ დარჩა და მისით მოისპო კათოლიკე სარწმუნოების ჩიქოანების გვარი.

*** ჩვენს მოხუცს პოეტს თ. ვახტანგ ორბელიანს შემდეგი მისალოცავი დეპეშები მოუვიდა აღდგომა დღეს საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდამ მის ნიჭის პატივის-მცემელთაგან. დეპეშა გორიდამ: „ქრისტე აღზდგა! 75 წლის მხცოვანს, შემოქმედს „იმედისას“ და მრავალ სხვა საუკეთესო ნაწერებისას ვუძღვნით ჩვენს სალამს და ვისურვებთ, რომ დღენი თქვენი განაგრძოს უფალმა მრავალ ჟამიერ.“

ხელი უწერია 16 ქალსა და კაცსა.

ოზურგეთიდამ ოზურგეთის ნასწავლის საზოგადოებისაგან:

„მოგილოცავთ ჩვენო, ძვირფასო და ღრმად პატივ-საცემო პოეტო ვახტანგ, ბრწყინვალე დღესასწაულს ქრისტეს აღზდეგისას და 75 წლის შესრულების დღეობას. ვსთხოვთ უზენაესს განამრავლოს დღენი თქვენი ჩვენდა სასიხარულოდ და ნუგეშად.“

ახალციხიდგან ნიკოლოოზ ალექსეევ-მესხიშვილისაგან:

„უკვდავის რუსთველის სამშობლოდამ მესხნი გიგზავნით 75 წლის ტკბილ-მომღერალს ავტორს „ჯვარი-ვაზისა“-ს სალამსა და ვისურვებთ თქვენთვის მრავალ ჟამიერს დღეგრძელობას.“

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზის გრიგოლისაგან:

„მოგილოცავთ გულით ქრისტე აღზდეგის დღესასწაულსა და 75 წლის შესრულების დღეობას. ვისურვებ თქვენს მრავალ ჟამიერს სიცოცხლესა, რომელიც ასე დიდად სასარგებლოა ქართულის ლიტერატურისათვის და შევსთხოვ უფალსა, დაგიცვათ დიდს ხანს გასანათლებლად ქვეყნისა სამშობლო მეცნიერებისათვის და მამულის სასარგებლოდ.“

*** ქართულ თეატრში, კვირას, 19 აპრილს, ქართულის დრამატიულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება ბ-ნ ანტონოვის ოთხ-მოქმედებიანი დრამა „ქოროღლი“. წარმოდგენის ბოლოს ლეკური იქნება.

*** ამ აპრილის 22-ს ქართულის დრამატიულის დასის არტისტები აპირობენ გამართონ გორში წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება აკაკის დრამა „თამარ ც იერი“ თვით ავტორის თანადასწრებით.

*** მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ რადგანაც ხიდი მე-198 ვერსზე ბათუმის რკინის გზაზე გაფუჭებული იყო, მატარებელი ეს ორი კვირაა ამ ხიდზე ვერ გადადიოდა. ეხლა, როგორც აცხადებს რკინის გზის გამგეობა, ხიდის კეთება გაუთავებიათ და აპრილის 14-ს საღამოდგან მატარებელს დაუწყვია სიარული ბათუმსა და ტფილისს შუა.

*** სურამიდამ გვწერენ: დიდ-შაბათს, ამ თთვის ოთხს, სოფელს ქვიშხეთში შემაძრწუნებელი ამბავი მომხდარა. შუა-ღამისას, როდესაც ყველას დასძინებია, გლეხის გოგია ლაცაბიძის სახლს ცეცხლი მოჰკიდებია; გათენებამდინ სახლი სრულიად დამწვარა და დაფერფლილა. აი როგორ მომხდარა ეს უბედურება: ლაცაბიძე თავის ცოლ-შვილით მთელი ზამთარი ბოსელში მდგარა. დიდი მუხის დარბაზი კი, რომელიც ორასი და ორას ორმოც-და-ათი მანეთი ღირებულა, დაცლილი ჰქონია. ამ სახლში იყო თურმე მხოლოდ გლეხის მთელის წლის სარჩო: პური, ქერი და ლობიო. დიდ-შაბათს ეს უბედური სახლი დაეგავათ, დაეწმინდათ და დაელაგებინათ სააღდგომოდ ქალებსა; შეეტანათ შიგ აგრეთვე სააღდგომოდ გამომცხვარი პური, ნასყიდი ღვინო და დაკლული ღორიც; ერთის სიტყვით, რაც რამე ჰქონოდა ამ ოჯახს, მაგალითად: სკივრები ტანისამოსით სავსე, ოჯახის ავეჯეულობა და ჭურჭელი ამ ღამეს აქ ჰქონოდათ დალაგებული და დამზადებული. ძილის დროს ერთი მეოჯახეთაგანი შესულა სანათით სახლში რილაცისათვის, გამოსვლის დროს სანათი შიგ დარჩენია და ჭერს მოჰკიდებია ცეცხლი. სანამდისინ არ გაძრიელებულა ცეცხლი და არ შემოსდებია სახლს გარშემო,—ვერავის გაუგია. როდესაც პირველად მამალმა იყივლა და ხალხმა ადგომა იწყო ლიტანიაზე წასასვლელად, მხოლოდ მაშინ გაიგეს თურმე, რომ იმათს მეზობელს ცეცხლი უკიდია და იწვის. ხალხი საჩქაროდ მოგროვილა წყლის მოსატანის ჭურჭლებით, მაგრამ ცეცხლი ისე გაძრიელებულიყო და იწოდა მშვენიერი მუხის სახლი, რომ შველა არას გზით არ შეიძლებოდა. ისე დამწვარა ყოველივე მომზადებული ხორაგი ამ სახლში, რომ პურის ლუკმაც არ გადანარჩუნებულა სააღდგომოდ. კიდევ კარგი, რომ ამ ღამეს სიოც არ იძროდა თურმე, თორემ ამ სახლს გარდა ორი-სამიც კიდევ სხვაც დაიწოდა. კეთილი და სამადლობელი საქმე იქნება, რომ ადგილობრივმა საზოგადოებამ და აგრეთვე სხვამ შეძლებისადა გვარად რაიმე შემწეობა აღმოუჩინოს ამ მოულოდნელად გაუბედურებულს, საწყალს გლეხსა...

*** იქიდამვე გვწერენ: როგორც მოგეხსენებათ, წარსულის თთვის ოც-და-ხუთს, ხარებას, წიფას ღელეზე წისქვილს მიწის ზვავი დააწვა და მოჰკლა ერთი კაცი და ორს კიდევ ფეხები დაამტვრია. ამ დღეებში გავიგე, რომ ეს უკანასკნელნიც დასიებულან და გამოსალმებიან წუთი-სოფელსა.

*** ქუთაისიდამ გვწერენ: რკინის გზის გაფუჭებამ გვარიანად გაგვიძვირა ქუთათურებს ნავთი: გირვანქა 12 კაპეიკამდე ავიდა. სასმელის წყლის გასაწმენდად შაბსაც გაგვიძვირებენ მეწვრილმანეები. ეს ერთი კვირაა, რაც რიონი წითლად შეღებილი მოდის. ნაქერალის მთის ერთს ფერდობში, ძმუისის სოფლის მახლობლად, დიდი გორა მოგლეჯილა, გაუგუბებია მდინარე ლეხიდარი, რომელიც ძმუისის სოფელს ჩამოუდის, გაჩენილა დიდს მანძილზე მეწყერი და არა ეშველა-რა მის გამოლევას. უზარ-მაზარი ქვები, დიდი ხეები ერთად მოაქვს მეწყერს და აგუბებს მდინარე ლეხიდარს. როგორც ამბობენ, ვერც ნახევარს წელიწადს გაიწმინდება დაქცეული ადგილი, რომ მდინარე ლეხიდარი თავის კალაპოტში ჩადგესო. აუარებელი თევზები (კალმახი) ამოუყრიათ სოფლის მცხოვრებლებს გათქვეფილს ტალახიანს წყალშიო. დაბეჯითებით არ ვიცით რა მიზეზით მოგლეჯილა ეს გორა. ბევრი ამბობს, რომ ნაქერალის მთის ძირიდამ დიდს წყალს გამოუხეთქიაო.

*** რაჭიდამ გვწერენ: რაჭაში, სოფელს სადმელში, ერთს ქალს, ს. კერესელიძის ცოლს, მოუწამლავს თავის მეზობლის, ბ-ნ კერესელიძის სამი ვაჟი. საწამლავი კვახის გულის შეჭამადში გაურევია. ორი ბავშვი რძის საშუალებით გადაურჩენიათ, მესამე კი მომკვდარა. მომწამვლელი ქალი დაუჭერიათ და გამოძიებაა შემდგარიო.

*** გულ-აღა კაიკაციშვილი შემდეგს მეტად უცნაურს და საყურადღებო ამბავს გვატყობინებს: ერთი საკვირველი ბავშვი იზრდება ქობულეთში. დღეს ეს ყმაწვილი სულ ოთხი წლისაა. შეხედულება, და ტანის აგებულება 12—13 წლის ბავშვს მიუგავს. ხმა აქვს კამბეჩივით. სწორედ საკვირველი რამ არსება იზრდება.

*** გაზ. „კავკაზი“ გვაუწყებს, რომ მაისის დამდეგს ტფილისში მოვა კომისია, რომელმაც უნდა ჩაიბაროს ტყიბულის რკინის გზა და აგრეთვე გასინჯოს მთელი ამიერ-კავკასიის რკინის გზაო. თავსმჯდომარედ ამ კომისიისა იქნება ინჟინერი ვერხოვსკი და წევრებად: სემენჩიკოვი, კარნოვიჩი და ლავრენტიევიო.

*** „С.-Пет. Вѣд.“-ი ამბობს, რომ უმაღლესს მთავრობას ნება მიუცია ჩვენის ქალაქისათვის გამართოს ხოლმე ყოველ წელს საკუთარი იარმუკა; ამ იარმუკაზე ივაჭრებენ როგორც ღვინით, აგრეთვე სხვა-და-სხვა მეურნეობის ნაწარმოებითა.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ევროპა და მისი საპოლიტიკო საქმენი სწორედ დიდ საიდუმლოდ გადაიქცა. ვერავის ვერა გაუგია-რა, რა მოჰყვება დღევანდელს დღეს, რას იტყვის ხვალინდელი დილა. გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ თვით ევროპის ბედის გამგებელნი-კი ისე გაჩუმებულან, დიპლომატებს ისე მოუკუმავთ ტუჩები, რომ ვერავითარის ღონით ვერ ათქმევინებთ, რა მოელის ამ ზაფხულს ევროპასა: მშვიდობიანობა, თუ ომი და მოუსვენრობა.

აღდგომის ცოტა-წინად და შემდეგ თითქო უფრო მშვიდობიანობის სიომ დაჰბერა, მაგრამ დიდხანს არ გასტანა ასეთმა ყოფამ. ჯერ ავღანისტანში დაიწყო უცნაურმა ქარმა სისინი და გილზაების საქმემ აალაპარაკა გაზეთები, რომელნიც სუნით დაეძებენ საინტერესო ამბებს. ახლა კიდევ ბოლგარიის საქმემ დაჰქროლა პოლიტიკის ცას და კვლავ აურ-დაურია ღრუბლები. ყველანი სმენად არიან გადაქცეულნი და სულ განაბულნი უგდებენ ყურს, ვნახოთ ერთი რა გამოვა რისაგანაო.

ვერაფერი ამბები მოიტანა დღეს დეპეშებმაო, ამბობს გაზ. „Новое Время“. იმის გარდა, რომ ინგლისის ელჩს სადილად მიუწვევნია რეგენტები და იმათი სადღეგრძელო მიურთმევია, სხვა გვარი არა-სამშვიდობო ამბებიც მოდის დასავლეთიდამაცა და აღმოსავლეთიდამაცაო. ერთ ხანად გვეგონა, რომ აი ზაფხული მოდის და საქმეები საზაფხულო მშვიდობიანს მდინარეობას დაიწყებსო, მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ გვარი იმედები სანდო და მტკიცე არა ყოფილაო!

რამ შეაწუხა ასე გაზეთი, განა რა მოხდა ისეთი, რომ იმედი მშვიდობიანობისა ასე წარკვეთია. გილზაები არიან ამისი მიზეზი, თუ სადილი და სადღეგრძელო ინგლისის ელჩისა.

ჩვენ არა გვჯერა და არც გვინდა დავიჯეროთ, რომ ინგლისის ელჩის სიტყვა და მისი შინაარსი ეშესაბამებოდეს ინგლისის მთავრობის დღევანდელს განზრახვასა. მაგრამ მაინც-კი საინტერესოა ვიცოდეთ, თავისით მოქმედებდა ბატონი ელჩი, თუ სხვამ ჩააგონა, ბოლგარიის გაერთიანებისა და რეგენტების სადღეგრძელო წარმოსთქვიო.

ასეა თუ ისე, ჩვენ გვგონია, რომ ამ საქმეს ახსნა უნდა. თუ თავისით მოქმედებდა ელჩი, ინგლისის მთავრობამ არ უნდა დააყოვნოს და ენა-გრძელი ორატორი უნდა მოაშოროს თავის სადიპლომატო ალაგსა. ეჭვი არა გვაქვს, რომ ამის პასუხს გადაჭრით მოსთხოვენ ლონდონის მთავრობას და კიდეც შეუთვლიან, რა შე-

---

ვაში ვადის დადებაა საჭირო. ვადას ბჭეები დასდებენ, თუმცა საქმის მომგებსაც ნება აქვს ვადა დანიშნოს; ვადა დიდიც შეიძლება, ცოტაცა (თთვე, წელიწადი), — საქმის გარემოებაზედ ჰკიდია. თუ ვადას გასცილდა განაჩენის აღსრულება და დავის მომგებმა დროზედ არ მიიღო კუთვნილი გარდასახადი, აი სწორედ მაშინ მზევალმა უნდა გარდაიხადოს დაკისრებული გარდასახადი. მაშასადამე, ვადამდე მზევალთან ხელი არავისა აქვს და ამით მზევალი განირჩევა თავდებისაგან: ვახტანგის სამართლის თავდებობა ვადას არ იხსენიებს; ეს ერთი მეტი საბუთიც, რომ მზევლობა და თავდებობა სულ სხვა-და-სხვაა...

მძევლობას ფორმალური, გარეგანი სავალდებულო ძალა არა აქვს, მზევალს ძალას ვერავინ დაატანს, უეჭველად სამზევლო გარდასახადი უნდა ვარდაიხადო, თორემ მოვალ და მე თითონ წაგართმევო. ამ საყურადღებო დაწესებულებას საფუძვლად ერთის მხრით ზნეობითი ჩვეულება აქვს აღიარებული, მეორეს მხრით — ხალხის ამაოდ-მორწმუნეობა. პირველად ესა, რომ მზევლობაზედ უარის თქმა დიდი სირცხვილია, დიდად სათაკილო საქციელია: უთაური კაციაო, მზევლობა ვერ შესძლო, სხვა რამე მაგას რა შეეძლებაო,—ასე უკიჟინებენ მზევლობაზედ უარის მთქმელსა; გარდა ამისა, ვინც მზევლობაზედ უარს იტყვის, იმას მზევლის დამყენებელი თავის თემში არ გაატარებს,—რა კაცი ხარ, რომ ჩემს თემში მოხვიდე და ჭირსა და ლხინს დაესწროვო. სხვა თემიდამ განდევნა და გამოკლება ხომ დიდი უბედურებაა ხევსურისათვის. ეს სირცხვილი და თემიდამ განდევნა, თავისის ზედ-მოქმედებით და გავლენით, უფრო დიდი რამეა, ვიდრე იასაულის კარზედ მიდგომა და ოჯახის დაწიოკება; ამიტომაც სირცხვილი და თემიდამ განდევნა მზევალს იძულებულს ჰხდის, თუ კი შესაძლოა, მზევლობაზედ უარი არა სთქვას და გარდასახადი გაიტანოს. მეორედ—ზოგიერთა ამაოდ-მორწმუნეობრივი ჩვეულება ძალას ატანს მზევალს თავისი მოვალეობა შეასრულოს. ეს ჩვეულებაა „საწყევარის აგება“, ძაღლის და კატის ჩამორჩობა. აი ერთის და მეორის აღწერაც, თუ კი ეს აღწერა არ შებილწავს ჩვენის მკითხველების ესტეტიურს გრძნობას.

როცა მზევალი ვადაზედ არ გადაიხდის განაჩენით გადაწყვეტილს გარდასახადს, მაშინ მზევალს სოფლის ახლო აუგებენ «საწყევარს». „საწყევარი“ ქვის პატარა კოშკია და ზედ კაცის გამხმარი სკორე ადევს. მაგრამ „საწყევრის“ აგება უეჭველად საჭიროა როდია,—მის მაგივრად შეიძლება ძაღლისა ან კატის ჩამორჩობა მზევლის სოფლის პირად. „საწყევრის“ აგებასაც და კატა-ძაღლის ჩამორჩობასაც თავისი სათქმელი ფორმულა აქვს: „შენის სულისა და შენის მკვდრის სულისა იყოსო“... ეს ყოველივე დიდად სათაკილო და სასირცხვილოა მზევლისათვის. ასე გასინჯეთ, ჩირქი მთელს სოფელსაც კი ეცხება. «ციცა» ჩამოგირჩეს, „საწყევარი“ აგიგესო,—ამ შეურაცხებას ძნელად აიტანს ამპარტავანი და თავისუფლებით გალაღებული ხევსური!.. კიდეც ამ მიზეზის გამო ხშირად კაცის კვლა მოხდება ხოლმე და დაკეჭნა ხომ მეტად ხშირი საქმეა. რადა?—საწყევარ აგებული და ციცა-ძაღლ ჩამორჩობილი მზევალი უბედური კაცია, შესაბრალისია: ხატში არ მიესვლება, მკვდარს რიგით ვერ დამარხავს, «სამარხს ვერ იქმს», ტაბლას ვერ გაუკეთებს, თითონაც პირს ვერ აიხსნის... მთელს თემში ის შერცხვენილია, ათვალწუნებული! რასაკვირველია, ამ შერცხვენისა და უბედურების მოშორება შეიძლება,—საჭიროა მხოლოდ, რომ მზევალი გაუსწორდეს მოდავეს, ჩააბაროს მისაცემი; უამისოდ „საწყევრისა“ და „კატა-ძაღლის“ ახსნა ვერ მოხერხდება. შერიგებას, „ახსნას“ ზედ ერთვის საკლავის დაკვლა. საკლავი იმან უნდა დაჰკლას, რომელმაც «საწყევარი» ააგო, კატა-ძაღლი ჩამოარჩო და სწორედ იმ ადგილას, სადაც ეს სასირცხვილო ამბავი მოხდა. ჭამაზედ ორთავე მოპირის-პირენი უნდა იყვნენ, დამსწრენიც საჭირონი არიან; ჭამის შემდეგ „სული აიხსნების“, მტრობა და შუღლი მოისპობა...

მზევალს სამზევლოში ერთი ცხვარი ერგება; მაგრამ ეს არაფერი, საქმე აი რაშია: როცა მზევალი იძულებულია გარდასახადი გაიტანოს, მაშინ თავის დამჭერელს გარდასახადს შვიდეულად ახდევინებს. ძველს დროში ერთი ოცადაც შეიძლებოდა გარდახდევინება. თუ გამტყუვნებულმა მზევალს საქმე სამზევლოდ არ გაუხადა, მაშინ მზევალი სამზევლოს ერთი-ორად გადაახდევინებს, ნაკლებიც შეიძლება,—ცოდო-მადლზედ არის გადახდევინება დამოკიდებული. როცა მზევალი სამზევლოს გადაიხდის და მოპასუხე მას არას აძლევს, მზევალი სხვა მზევალს დაიჭერს; მეორე მზევალს მესამის დაჭერა შეუძლიან და ამითი თავდება საქმე; სამის მზევლის მეტი არ შეიძლება. თვითეულის მზევლის დაჭერაზედ ბჭენი უნდა დაესწრონ. პირველი მზევალი მეორეს და მეორე მესამეს შვიდეულად ახდევინებს; თუ ცოდო-მადლზედ მივარდა საქმე, ერთი-ორადაც შეიძლება. მთელი ეს გარდასახადი ბოლოს დროს საქმის წამგებელს უნდა დააწვეს თავს, ე. ი. იმას, ვის მიზეზითაც მზევლობა დაიწყო. ბ-ნ ა. ყაზბეგს არა სჯერა მზევლობა და ეჭვის თვალით უცქერის მას. მართალია, ეხლა მზევლობა მეტად იშვიათი საქმეა. ხალხს იგი თითქმის დავიწყებული აქვს, მაგრამ ძველად კი მას ძალა ჰქონია. ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ მზევლობას წინ აღუდგა თვით ხალხიო, როგორც დამღუ-

დეგიც მოჰყვება ასეთს საქციელს, თუ ინგლისის მთავრობაც თანაუგრძნობს თავის თავ-დაუჭერელს სადიპლომატო აგენტსა.

რალაც ბოროტი მოუსვენრობა ტრიალებს ჰაერში. ხოლო როცა პოლიტიკოსები მოქმედებენ ისეთს ჰაერში, რომელიც ელექტრონით არის გაჟღენთილი, მაშინ ისეთი მცირე-რამ საგნებიც-კი, როგორიც არის მაგალითად სადღეგრძელო ბოლგარიისა, ინგლისის ელჩისაგან წარმოთქმული, ან კიდევ ისეთი, როგორც მაგალითად დაჭერაა გერმანიის პოლიციისაგან საფრანგეთის აგენტისა სამზღვარზე, აშინებს კაცს და აფიქრებინებს, ამ მცირე ამბებს საიმისო დიდი-რამ ხომ არა მოჰყვება-რა, არა ჩვეულებრივს რასმე ხომ არ უნდა გელოდდეთო.

მართალია, ხშირად მცირე-რამ ამბავს დიდი საქმე მოჰყვება ხოლმე, მცირე და უმნიშვნელო მიზეზი დიდს ამბავს დაჰბადავს ხოლმე, მაგრამ არც ისეთი ახირება უნდა, რომ სადღეგრძელოს დალევაც-კი კაცმა ომის მიზეზად და ომის მომასწავებელ ნიშნად მიიჩნიოს. მაგრამ ვინ იცის, იქნება ასეთი გაზვიადება საქმისა იმავე მეტის-მეტის გულ-მოდგინეობის შედეგია, რომელსაც გაზეთი სწამებს ინგლისის ელჩსა!

***

ერთს პროვინციის გაზეთს სახელდობრ „Саратов. Листокъ.“-ს ფრიად საინტერესო ცნობანი მოჰყავს მოსკოველ გაზეთის „Рус. Вѣд“-ის რედაქციის მოწყობილობაზედ.

ეს გაზეთი „11 კაცის“ გაზეთიაო. ეს სიტყვა უნდა ავხსნათ. საქმე აი როგორ არის: ამ გაზეთმა ბევრგვარი ვაი-ვაგლახი გამოიარა, ვიდრე ბოლოს არ ჩაუვარდათ ხელში წინანდელსა და ზოგიერთს ახალს თანამშრომლებს, რომელთა შორისაც პროფესორებიც ნაკლებად არ ურევია. თანამშრომლები 11 კაცამდე შეიკრიბნენ და ყველამ საამხანაგო-საძმო საქმედ გაიხადა გაზეთის საქმე. ეს ამხანაგობა გაზეთის ახალის პატრონებისა მშვენიერად მუშაობს ახლა. „ძლიერი გუნდი“ ისე მკვიდრად ჩადგა ამ გაზეთის რედაქციაში, ისე მტკიცედ შემოერტყა გარს გაზეთის ფურცლებს, რომ იმათში შესვლა უცხო კაცისათვის თითქმის შეუძლებელია. ყველანი მოწილე ამხანაგნი არიან და ამასთანავე მშრომელნიც.

ამ სალიტერატურო ძმობასა და ამხანაგობას აი რა შედეგი მოჰყვა: პირველად ისა, რომ გაზეთს 17,800 ხელის-მომწერი ჰყავს; ძმობამ გაიჩინა თავისი სახლი, უზარმაზარი შენობა, რომელიც მოწყობილია სტამბისა და რედაქციისათვის. ეს სახლი ამას წინად იყიდა რედაქციამ 70,000 მანათად. ყველა 11 მოწილე ძალიან კარგად მოეწყვნენ და კარგადაც სცხოვრობენ: იმის გარდა, რომ თითოეული ჯამაგირს იღებს და რასაც სწერს ამაში სტრიქონობით ეძლევა ფული, წლის დამლევს ძმურად იყოფენ მოგებასა. ამ მოგებიდამ შარშან, როგორც ამბობენ, თვითოეულს ჰრგებია 4,000 მანათი. ამ სახით ყველა თანამშრომელნი და პატრონები გაზეთისა იღებენ წელიწადში თითო შვიდას-რვაას თუმნამდე ფულსა.

გაზ. „С.-Пет. Вѣд.“-ი ამბობს ამაზე, რომ იქნება ციფირები ცოტა მეტი იყოს, მაგრამ საზოგადოდ-კი, ვგონებთ, რომ კორესპონდენტის ნაამბობი მართალი უნდა იყოსო.

ვინც იცის ჩვენის მწერლობისა და რედაქციების მდგომარეობა, იმისთვის განმარტება აღარ უნდა ასეთს ამბავს.

---

## ცოტა რამ ეგვიპტეზედ ეგვიპტიდგან.

### წერილი პირველი

(შემდეგი*)

ქაირი. აი მივხვედით ქაირის რკინის გზის სადგურთანაც. გამოხვალთ თუ არა ვაგონიდგან, მოგესევიან ბუზებივით კომისიონერები და ყველა მათგანი დაგიწყებს თავის სასტუმროს ქებას და გიწვევს თავის ომნიბუსასაკენ.

არ გირჩევთ ჩაჯდომას საუკეთესო სასტუმროს ეტლში, რომელსაც ზედ აწერია „Newhôtel“, თუმცა ეს სასტუმრო მოწყობილია ისე, რომ თვით ფუფუნებაში აღზრდილი ადამიანი ვერ ინდომებს უკეთესს კომფორტს. ავადმყოფისათვის უთველივე მისი მოწყობილობა გამოუსადეგარია, რადგანაც ეს სახლი აშენებულია ისეთს ადგილას, სადაც უწინ ყოფილა ტბა და ამიტომაც ნოტიოა. არც შეპერდის სასტუმროს გირჩევთ (Shepheard's hôtel), რადგანაც 300—400 ნომერი მუდამ დღე გატენილია სტუმრებით და ამიტომ დიდი მოძრაობაა აქა: ავადმყოფი ვერა ნახავს მოსვენებას ვერც დღე და ვერც ღამე. ეს ორი სასტუმრო უფრო სადილ-კაცო სასტუმროებია. არის კიდევ სხვა რამდენიმე ძვირი სასტუმრო, როგორც Royal, d'Angeterre და du Nil. ამ სამში ისევ ინგლისის სასტუმრო სჯობია, რადგანაც კარგს ადგილასაა და მისს ოთახებს მთელი დღე მზე ადგია. Hôtel du Nil-ში თუმცა კარგი საჭმელებია, მაგრამ კარგი ოთახები ძვირია და დაბალის ფასის ოთახში-კი არ დაიდგომებს. არც კარგს უბანშია ეს სასტუმრო. ჩემის აზრით, ყველაზედ რიგიანი როგორც ფასით, ისე ავადმყოფისათვის სადგომად, ერთ-ერთი ამ სამ სასტუმროთაგანია: hôtel de Voyageurs, hôtel Khedivial და hôtel d'Orient. ყველა ეს სასტუმროები ქალაქის შუა ნაწილშია, რომელსაც სახელად ჰქვია ესბეკია. ყველას სჯობია მოხერხებულობით (ბაღისა და ბირჟის პირ-და-პირ) ორი უკანასკნელი სასტუმრო. პირველში ოთახის შოვნა შეიძლება დღეში 3—4 ფრანკად. აქ ბუხრებსა და ღუმელს არ უკეთებენ ოთახებს და ამიტომაც გირჩევთ იმისთანა ოთახი ამოირჩიოთ, რომელსაც მეტს ხანს ათბობდეს მზე თავის სხივებით. უთველთვის უნდა ისეთი ოთახი ამოირჩიოთ, რომელსაც სარკმელი ან სამხრეთით აქვს და ან აღმოსავლეთით, თორემ უცეცხლობა და უმზეობა მეტად ანოტიოებს სახლებს. აქაური სასტუმროები უფრო საზამთრო სტუმრებისათვის არის აშენებული და ამიტომაც მათ შორის ნოტიო ოთახები იშვიათია.

სასტუმროში დაგეხარჯებათ დღეში სულ ცოტა 15 ფრანკი მაინც, თუ ძალიან არ შეავიწროებთ თავს. აქეთ წამომსვლელს უნდა ჰქონდეს სახარჯოდ თთვეში 15 თუმანი მაინც. რამდენსაც უნდა ეცადოს კაცი, ამაზედ ნაკლებ ფულით ვერ იცხოვრებს. თავდაპირველად უნდა ეცადოს, რომ სადმე ოჯახში იქირაოს ოთახი, თუმცა ეს ძრიელ ძნელი საქმეა ქაირში. სასტუმროები და გასაქირავებლად მოწყობილი ოთახები ბევრია, მაგრამ ოჯახებში ძრიელ ძნელია ოთახის შოვნა; ოჯახში ოთახის შოვნა თვითონ უნდა იტვირთოს აქ მომსვლელმა, თორემ კომისიონერების ხელისაგან ღმერთმა დაიხსნას. ამისათვის გამოადგება მას ქაირის გეგმის გადათვალიერება.

ქაირი არის გაშენებული ნილოსის მარჯვენა ნაპირზედ და განიყოფება ორად: ძველს და ახალს ქალაქად. ძველს ქალაქთან ხელი არა აქვს ავადმყოფს, რადგანაც ამ ნაწილში განსაკუთრებით არაბული ქუჩები და შენობებია, რომელნიც ცხადი და აშკარა უარ-ყოფაა ჰიგიენის ყოველისავე მოთხოვნილებასა. ქაირში სცხოვრობს სულ 400,000 სულამდის კაცი. მათ შორის 90,000 ევროპიელნი არიან: ბერძენნი, იტალიელნი, ფრანგნი, გერმანელნი, ინგლისელნი და სხვა.

ახალს ქაირში არის როგორც არაბული, ისე ევროპიული ქუჩებიცა. საკმაოა ერთი თვალი გადავავლოთ გეგმასა, რომ მიხვდეთ რომელია ევროპიული და რომელია არაბული ქუჩა. რაც სწორე და განიერი ქუჩები დაინახოთ, იცოდეთ, რომ ევროპიული იქნება, და რაც ვიწრო-ვიწრო და არაბულის ფანტაზიასავით მიხვეულ-მოხვეული ქუჩები იყოს, ის არაბული იქნება. გირჩევთ წახვიდეთ იმ სწორ-სწორ ქუჩებისაკენ, ნილოსისკენ, ქალაქის იმ ნაწილში, რომელსაც სახელად იზმაილი ჰქვიან, იზმაილ-ფაშის პატივის ცემისათვის. ამ ფაშამ გააშენა ეს უბანი. ეს უბანი არის მუდრო, სუფთა, მდიდარი ბაღებითა და არაბულს უბნებზე საკმაოდ მოშორებული.

აქ ოთახი მოწყობილობით და სასმელ-საჭმელიანად თთვეში 250 ფრანკად იფასება და თუ 200 ფრანკად იშოვნეთ, ეს ხომ მუქთი იქნება აქაურის ფასების კვალობაზედ...

ქაირში არის რუსეთის სადიპლომატიო სააგენტო (Konsulat Général). დაბინავების შემდეგ, თუ გნებავთ, შეგიძლიანთ მიბრძანდეთ, გამოეცხადოთ და საკონსულო პერსონალიც გაიცნოთ. მათის საშუალებით შეგიძლიანთ იშოვოთ ბილეთი კრებისა და სასახლეების დასათვალიერებლად, რაიცა უბილეთოდ გასაჭირია. საკონსულოში გირჩევენ მათის სახელით დაიკვეთოთ და დაიბაროთ ჟურნალ-გაზეთები და წერილები, მაგრამ გირჩევნიათ-კი, რომ თქვენვე მიიღოთ ფოსტაში, რომელიც აქ კარგად არის გამართული და იმისთანა ადგილასაც არის, რომ დღეში ორჯელ-სამჯერ მოგიხვდებათ მის წინ გავლა. ამის გარდა ამით ასცდებით იმ ფრანკების ხარჯვას, რომელიც მიუცილებლად უნდა აჩვნოთ ხელში საელჩოს კავას (იასაულს) წერილების მოტანისათვის. საელჩოს გაცნობისთანავე გეტყვიან, რომ „въ случаѣ какого нибудь недоразумѣнія, просимъ обращаться къ намъ“. ეს „ნედარაზუმენიები“ მათ ენაზედ ნიშნავს ჩხუბს ან დავას, რასაც ავადმყოფი ისედაც მორიდებული იქნება.

წერილები აქ მოდის მე საქართველოდგან ხან სამს კვირაზედ, ხან ორ კვირანახევარზედ; პეტერბურგიდგან მეცხრე დღეზედ. წერილების ადრესი ასე უნდა იყოს: Egypte, au Caire, სახელი და გვარი. თუ რუსეთიდგან ან ევროპიდგან მოგდით წერილი, მეტი არავერი არის საჭირო, მაგრამ თუ საქართველოდგან გინდათ მალე მიიღოთ, მაშინ ზევით უნდა დააწეროთ „черезъ Одессу и Константинополь“, თორემ შემოარბენინებენ მთელს ევროპას და ერთის თვის შემდეგ მოგართმევენ ქაირში. აგრეთვე აქიდგან საქართველოსკენ გასაგზავნს წერილს უნდა დააწეროთ ოდესის გზა თავზედ, თორემ შეიძლება ევროპისკენ გაჰქანონ.

ჭლექიანებისათვის ჰავის მხრივ კარგს სამყოფად ირიცხება ეგვიპტეში აგრეთვე პატარა ქალაქი ჰელუანი (Neluanne), რომელიც ქაირზედ დაშორებულია რკინის გზით სამის ნახევრის საათის სავალზედ და რომელიც შესდგება ასის, ას ორმოცდა-ათის სახლისაგან. აქ არის რამდენიმე სასტუმრო კარგად მოწყობილი; ქაირიდგან იქ ჰგზავნიან ჭლექიანებს, თუმცა გასაკვირველია: ჰელუანში არის გოგირდის წყლის აბანო და განსაკუთრებით ამ წყლისთვისაც არის გაშენებული ეს ქალაქი და საკანგებო რკინის გზის შტოც გაყვანილი, მაგრამ განა გოგირდის გაზი მარგებელია ფილტვებისათვის? იქ ერთი ახირებული ქიმია, არის რომელიც უეჭველ გვარს ავად-მყოფობას ჰკიდებს ხელსა.

ვასილ კოკოჩაშვილი

(დასასრული იქნება)



## რუსეთი

— კადეტის კორპუსებში მოსწავლეთათვის, რომელნიც თავიანთ ხა-

---

პველს ჩვეულებას; ამბობენ, რომ ქისტები განგებ ყიდულობდნენ მზევლობას და ხალხს ძრიელ აწუხებდნენო. აწინდელს დროში მზევლობის მაგივრად უფრო მისდევენ „საწყევარს“, ძაღლისა და კატის ჩამორჩობას. თვით მზევლობა უფრო ცოდო-მადლის გზას დაადგა, თუმცა კი ჯერ სრულიად არ მოსპობილა. განაჩენის აღსრულებას ზედ მოსდევს შერიგება, „პირად შეყრა“. მაგრამ ვიდრე ამ „პირად შეყრაზედ“ ვიტყოდეთ რასმე, ერთს იურიდიულს დაწესებულებას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომელიც (დაწესებულება) „პირად შეყრაც“ არის და დანაშაულობის განსამართლებაც. აი ეს დაწესებულებაც:

როგორც ვიცით, ხევსურეთში კეჰნაობა მეტად ხშირი მოვლენაა და მძიმედ დაკეჰნა დიდ დანაშაულობად ითვლება. შეიძლება დაკეჰნილი (დაჰრილი) რამდენისამე ხნის შემდეგ მოკვდეს, „გაგრილდეს“, როგორც ხევსურეთში იტყვიან. ჯერ დაკეჰნა დიდი რამეა და მერე დაკეჰნილის „გაგრილება“ ხომ რა იქნება... ეს მძიმე დანაშაულობა უსისხლოდ ვერ გათავდება, თუ კი დამნაშავემ თავი არ იმართლა და არ დაიფიცა, რომ დაკეჰნილი დაკეჰნისაგან „არ გაგრილდა“. მაშასადამე, საშუღლო და საკამათო საქმე აქ ისაა, რომ დამნაშავე ამტკიცებს, დაჰრილი თავისის დღით მოკვდა, სხვა რაიმე მიზეზისაგან და არა დაკეჰნისაგან;—მკვდრის პატრონი კი იმას გაიძახის, რომ ეგ ყველაფერი ტყუილიაო და ჩემი მკვდარი დაჰრილობისაგან მოკვდაო. ეს საეჭვო საქმე ბჭეებმა უნდა განიხილონ. საქმის თვისება ბევრს ბჭეებს თხოულობს. თითონ საქმე კი უეჭველად დამნაშავის დაფიცებით უნდა გადასწყდეს. ეს დაფიცება, რომელიც ერთსა და იმავე დროს შერიგებაც არის, დიდის ამბით მოხდება ხოლმე. მკვდრის პატრონმა მკვდრის საფლავზედ ტაბლა უნდა მოამზადოს დიდრონის ხინკალისა და ხავიწისაგან; ლუდიც უნდა იყოს; არაყი კი არ შეიძლება („ეშმაკების სასმელიაო“), საკლავიც არ დაიკვლის. ბჭენი დაადგენენ, რომ ბრალდებულმა თავისის ნათესავებით დაიფიცოსო. ისინი ერთ-ერთმა ბჭემ უნდა დააფიცოს და რადგანაც ამ შემთხვევაში დაფიცება მეტად დიდი ვალია და ტვირთი, ამიტომ ბჭენი წილს ჰყრიან და ვისაც წილი არგუნებს, ის დააფიცებს („ყურის მამჭრელი“). ბრალდებული მივა საფლავზედ; მას მიუცილებლად რვა ახლო ნათესავი უნდა მოუდგეს გვერდით. დანარჩენი ბჭენი მოერიდებიან; მკვდრის პატრონი-კი საფლავზედ სდგას. ბჭე აიღებს ხელში რაიმე ეკალს, ჯერ ბრალდებულს და მერე თითო-თითოდ იმის რვა ნათესავს ყურში ეკალს აძგერებს, სისხლს გამოუშვებს; სისხლი საფლავს ჩაეწვეთება. მკვდრის პატრონი სისხლის გამოშვების დროს ამბობს: «უმცრომსიმც ხარ, ჯლანმსაც უბანდავ, ფეხის სამოსავმც უკეთებ, წყალსაც უზიდავ, ხელზედაც ემსახურები. გახდები იმის მოვალე, რომ არაფრით არ დაალონოვო»... ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეული მოფიცარი საიქიოს მკვდრის ყმა და მოსამსახური გახდება, თუ კი ტყუილად დაიფიცებს. შემდეგ ამისა ხუცი იხუცებს, ტაბლას აკურთხებს. დაფიცებულები და მკვდრის პატრონი ლუდით სავსე თასს აიღებენ; ლუდში ჩაფხეკილი ვერცხლი ურევია. ორთავე მხარე სამჯერ, რიგ-რიგობით, დალევენ თასით ლუდს; მერე ტაბლას მოუსხდებიან და ბჭეებთან ერთად საფლავზედ პურსა სჭამენ. ამითი თავდება შერიგება. «ყურის მოჭრა» ძნელი საქმეა და თავისუფლებაში აღზრდილი, „ბატონობის“ უარ-მყოფელი ხევსური არაოდეს არ იკისრებს საიქიოს ყმად ვისმე გაუხდეს. კიდეც ამიტომ ხევსური თუ კი „ყურის მოჭრას“ გაჰბედავს, მხოლოდ იმიტომ, რომ მართლად ჰრაცხს თავის თავს. ბჭეებს საბჭოში არა ერგებათ-რა; „ყურის მამჭრელი“ ბჭე კი ექვს ცხვარს მეტს იღებს ჩვეულებრივს საფასზედ,—«ყურის მოჭრა» დიდი ტვირთიაო...

ჩვეულებრივი „პირად შეყრაც“ მიუცილებლად სავალდებულოა; უამისოდ მომტრეებს ერთი-ერთმანერთზედ კაი გული არა აქვთ და შეიძლება შუღლი ისევ ჩამოუვარდეთ. კიდეც ამიტომ «პირად შეყრა» ან მაშინვე უნდა მოხდეს, როცა ბჭეები განაჩენს გამოაცხადებენ, ან ერთის თთვის განმავლობაში მაინც; ამ ვადას «პირად შეყრა არ გასცდების». როცა საქმე გადასწყდება, გამტყუნებული ბჭეებს ევედრება, ეთაყვანება—მოპირისპირეს შემარიგეთო, დამაძმობილეთო. სამზადისი ლუდით ან არაყით შემკობილი უნდა იხელოს მეთაყვანემ და როცა დიდი საქმეა, საკლავიც დასჭირდება. ორი ბჭე წინ გაუძღვება, ერთი ერთის მხრით, მეორე მეორის მხრით და მოპირისპირეს სახლში მიიყვანენ „პირად შეყრის“ მსურველს. იქ, სახლში ბჭენი ორთავე მხარეს თასით ლუდს ან არაყს დაალევინებენ სამჯერ და პირს აკოცნინებენ. თასში ვერცხლს ჩაფხეკენ, თუ არა და—აბაზს ან უზალთუნს ჩააგდებენ. ეინიცობაა, სასმელი არა აქვთ ხელად, თასით ერბოს ან თაფლს დაალევინებენ; ყოველ შემთხვევაში ჩაფხეკილი ვერცხლი, ან აბაზიანი, უზალთუნი საჭიროა; მერე ძმური ჭამა დაიწყობა. რასაკვირველია, როცა დიდი საქმეა, ჭამა-სმაც გამოჩენით უნდა მოხდეს, თუ არა და—მცირედაც შეიძლება. ჩვეულების ძალით, მეორე მხარემაც უნდა გამართოს ძმური, „პირად შესაყრელი“ ნადიმი.

ნ. ურბნელი

რჯით იზდებიან და თვით კორპუსში უნდათ ცხოვრება მომავალ სამის წლის განმავლობაში, ესე იგი, ამ წლის 1 აგვისტოდამ ვიდრე 1 აგვისტომდე 1890 წლისა, დაწესებული იქნება ყოველ წლიური გარდასახადი ორმოცდა-ხუთი თუმანი.

— ამ რამდენისამე ხნის წინად უწმინდესმა სინოდმა ბრძანება გასცა, რომ ალსარების თქმაში მღვდელმა ფული ხელში არ უნდა გამოართვას და ყველა ალსარების მთქმელმა ფული, რამდენიც ჰსურს, პირ-და-პირ ეკკლესიის ყულაბში უნდა ჩააგდოსო. ამ ახალს განკარგულებას, რუსეთის გაზეთების სიტყვით, არაფერი სიკეთე მოუტანია მღვდლებისათვის. ჯერ ერთი, რომ'ამით მაგ., მოსკოვში საეკკლესიო შემოსავალს ძრიელ უკლია და მეორე—ყულაბი რომ გაუღიათ, შიგ $^1/_2$ და $^1/_4$ კაპეიკიანების გარდა, ბევრი სპილენძის ნახმარი ღილებიც ამოჩენილა!

— მთავრობას შეუტყვია, რომ ბევრნი, ვისაც კი წმ. ანნის და წმ. სტანისლავის მაღალის ხარისხის ნიშნები მიუღია, დაბალის ხარისხის ორდენებს აღარ იკეთებენო. ამის გამო ახლა აპირობენ ბრძანება გამოსცენ, რომ ვისაც კი მაღალის ხარისხის წმ. ანნის და სტანისლავის ნიშნები მიუღიათ, დაბალის ხარისხის ნიშნებიც უნდა გაიკეთონო.

# უცხოეთი

ბოლგარია. ის გაიდუკები, რომელთაც განზრახვა ჰქონდათ სოფიიდგან მაკედონიაში გადასვლა, დაუპატიმრებიათ და სოფიაშივე მოუყვანიათ.

— ბელგრადში ხმა გავრცელებულა, ვითომ ბოლგარიის საქმე ამ ახლო ხანებში გადასწყდება, მაკედონიას ბოლგარიას შემოუერთებენ, ხოლო ისევ სულთანისავე ბრძანებლობის ქვეშ-კი იქმნებაო. მაკედონიას თავისი საკუთარი საერო სამინისტრო ექმნება, რომელიც განაგებს მაკედონიის შინაურს საქმეებსაო.

— სოფიელი კორრესპონდენტი გაზ. „Times"-ისა ამბობს, რომ რეგენტებს სტამბულოვსა და მუტკუროვს, ფილიპოპოლში წასვლის დროს, დიდის სიყვარულითა და ამბით დახვდნენ მკვიდრნი. სტამბულოვმა სიტყვა წარმოსთქვა და გამოაცხადა, რომ ბოლგარიის გაჭიანურებული საქმე ჩქარა გადასწყდება და გადასწყდება ბოლგარიის ერის სურვილისა და ნებისამებრო.

— სოფიიდგან აუწყებენ გაზ. „Новое Время"-ს, რომ ინგლისის უფროსმა ელჩმა ფილიპოპოლში სადილზე სადღეგრძელო დალია შეერთებულის ბოლგარიის ერის დამოუკიდებლობისა და განთავისუფლებისათვის და დიდი ქება შეასხა ამ დამოუკიდებლობისათვის მოღვაწეთ, ბოლგარიის რეგენტებსაო. გაზეთის სიტყვით, ასეთი საქციელი ინგლისის ელჩისა იმითი თუ აიხსნება, რომ ინგლისი ბოლგარელთ აქეზებსო; თუ ბოლომდე ასეთს პოლიტიკას მისდია ინგლისმა, ვერაფერს სამსახურს გაუწევს ევროპის მშვიდობიანობისა და წესიერების დაცვას საქმესაო.

გერმანია. გაზ. „Paris-Journal"-ი დარწმუნებით ამბობს, რომ გერმანიის მთავრობას საიდუმლოდ და ფარულად აქედ-იქით გადაჰყავს ჯარები და ადგილებს უცვლისო.

— საფრანგეთის სამზღვართა კომისარი, რომელიც სამსახურის გამო მიწვეული იყო გერმანიის მოსამზღვრე კომისართან, გერმანიის მთავრობას დაუპატიმრებია და მეცაში გაუგზავნია.

ინგლისი. ინგლისის პოლიტიკურს წრეებში დიდი ბაასი და ლაპარაკი აუტეხნია იმ ამბავს, რომ პოლკოვნიკი კინგ-გარმანი იმისთანა დიდს ადგილზედ დაუნიშნავთ, როგორიც არის ირლანდიის სუბ-სეკრეტრობაო. თვით მთავრობის მომხრენიც-კი წინააღმდეგნი არიან თურმე კინგ-გარმანის სუბ-სეკრეტრად დანიშნვისა, რადგან კინგ-გარმანი ერთხელ დიდი მომხრე იყო ირლანდიის ინგლისისაგან განაწილებისა და განცალკევების საქმისაო. რაც შეეხება მთავრობის მოწინააღმდეგესა და გლადსტონის დასს, ესენიც არ ემადლიერებიან მთავრობას კინგ-გარმანის სუბ-სეკრეტრის თანამდებობაზედ დანიშნვისათვის, რადგან პოლკოვნიკი კინგ-გარმანი ამ ბოლოს დროს ირლანდიის ერთი მამულის მეპატრონეთაგანი იყო, ძალიან აწუხებდა მოიჯარადრე ირლანდიელებს და ერთხელ საქმე იქამდინაც მიიყვანა, რომ სამიწა-წულო სასამართლომ კინგ-გარმანს 50% დააკლებინა საიჯარადრო ფულისაგანაო.

— კაშელის არხიეპისკოპოსს კროკს და მისის ეპარქიის მღვდლებს, სულ 120 კაცს, წინააღმდეგობა გამოუცხადებიათ და საწინააღმდეგო წერილი მიუწერიათ მთავრობისათვის ირლანდიაში ძალ-მომრეობის კანონ-პროექტის მიღების გამო. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ მაგ კანონისაო,სწერენ მთავრობას,—რადგან მაგ კანონს არავითარიმე რიგიანი აზრი არა აქვსო. ჩვენის აზრით, ეგ კანონი უფრო ბევრს ავაზაკობასა და უსამართლობას გამოიწვევს, თუმცა მთავრობას-კი ვითომ ამ ავაზაკობათა და უსამართლოებათა აცილება და შემცირება სწადიან ძალ-მომრეობითის კანონითაო.

— ის პოლიციის მოხელენი, რომელნიც ირლანდიის პოლიციაში მსახურებენ, წინააღმდეგნი არიან თურმე ირლანდიაში ძალ-მომრეობითის კანონის მიღებისა და გარდაუწყვეტიათ, რომ ყველანი ერთად გამოვიდეთ სამსახურიდგან ამ კანონის გამოვო.

— გაზ. „Times"-ს აუწყებენ სტამბოლიდგან, რომ როგორც აქ მოვიდა ამბავი, სპარსეთის მთავრობისა და რუსეთის სადიპლომატო წარმომადგენლის შორის ამ ჟამად დიდი მო[…]პარაკება გამართული ავღანისტანის საქმის გამოვო. ამ ამბავმა ლონდონში დიდი ზედ-მოქმედება იქონია და ინგლისელები მოუთმენლად მოელიან თეირანიდგან დეპეშებსა, რომ ნამდვილად შეიტყონ, თუ რაში მდგომარეობს საქმეო.

სერბია და საბერძნეთი. გაზეთი «Politische Correspondenz»-ი ამბობს, რომ სერბია და საბერძნეთი ძალიან დაუმეგობრდნენ ერთმანერთსაო. ყველა იმას მოელის, რომ აღმოსავლეთის საქმე ამ ახლო ხანებში კვლავ მიიქცევს საერთო ყურადღებას ევროპის დიდთა სახელმწიფოთა და ამ ამბისათვის ემზადებიან სერბია და საბერძნეთი, ჰმეგობრდებიან, რომ ყოველსავე შემთხვევაში ერთად ერთმანერთის თანხმობით იმოქმედონო.

# გასართობი

გულადი ქალი კაპიტანის ხარისხით. ეგვიპტის გაზეთები ამბობენ, რომ ამას წინად ქაირში მოვიდა ბაღდადიდგან ერთი ოსმალოს საოცარი ქალიო. ამ ქალს გაყის ტანისამოსი ჩაუცვამს წარსულის ომის დროს და მონაწილეობა მიუღია ომსა და ბრძოლაში; უბრალო ჯარის-კაცებთან ერთად უბრძოლია მუხთარ-ფაშის ხელ-ქვეით ჯარში. მხოლოდ მაშინ შეიტყეს, რომ ეს მეომარი ქალი დედათა სქესისა იყო თურმე, როცა ერთს გაცხარებულს ბრძოლაში მკერდში ტყვია მოჰხვდა და სამკურნალოში წაიყვანეს. სულთანს რაკი გაუგია ამ ოსმალოს ქალის სიმამაცე და თავ-გარდასავალი, სამუდამო პენსია დაუნიშნავს და ამას გარდა კაპიტანის ხარისხი მიუბოძებია. როცა ომი გათავდა, ამ ქალმა ქმარი შეირთო თურმე და რამდენსამე წელიწადს მეკკაში სცხოვრებდა; ამას წინად-კი ეგვიპტეში მისულა თავის უფროსის, მუხთარ-ფაშის სანახავად და სანამდე ქაირში დარჩება, მუხთარ-ფაშის სახლში იქმნება სტუმრად ·ეს ქალიო.

**

ჩვენს მკითხველ ქალებს! ამ სათაურით გაზ. „Polissoude Montdidier"-ში აი რასა ვკითხულობთ: რომ მშვენიერი იყო, სამი რამე უნდა ჰქონდეს თეთრი და სპეტაკი: კანი, კბილები და ხელები. სამი—შავი: თვალები, წამწამები და წარბები. რომ ლამაზი იყო, სამი რამ უნდა გქონდეს გრძელი: ტანი, ხელები და თმები. სამიც მოკლე: კბილები, ყურები და ენა. აგრეთვე საჭიროა სამი პატარა რამ: ცხვირი, თავი და ფეხები. სამი რამეც მადიანი: ხელები, ფეხები და მზითევი. გილოცავთ და ჩვენს სალამს ვუძღვნით იმ ჩვენს მკითხველ-ქალებს, ვინც პატრონი გამხდარა და ერთად მოუთავსებია: თეთრიცა და შავიცა, გრძელიცა და მოკლეცა, პაწაწაცა და მადიანიცა.

# დეპეშა

15 აპრილი

ოდესა. სამხედრო ოლქის სასამართლოს განყოფილებამ პადოლიის მოგილიოვში გადაუწყვიტა ექვს ებრაელთ, დაბა შარგოროდში მცხოვრებლებს და ერთს ებრაელის ქალს ოცის წლის კატორღა, რადგანაც ბრალდებულთ წინააღმდეგობა გაუწევიათ საბაჟო ზედამხედველისათვის და შეურაცხყოფა მიუყენებიათ, როდესაც ამ მოხელეს უბანდეროლო თამბაქოს გაყიდვა აღმოუჩენია.

კრონშტადტი. დღეს პირველად დაიწყო ნაოსნობა. მოვიდა ორი გერმანიის ცეცხლის გემი. გოხლანდისა და კრონშტატის შუა შკიპერებს ენახათ ყინულებში კიდევ ორი ცეცხლის გემი და თხუთმეტი აფრიანი გემები.

16 აპრილი

ბერლინი. ოფიციოზური გაზეთი «Politische Nachrichten» ამბობს: თუ მართალი აღმოჩნდა და დამტკიცდა, რომ შნებელი გაუჩს მოუწოდებია და ისიც იმიტომ გადმოსულა საზღვარს, მაშინ გაუჩის წერილს ისეთივე ძალა ექნება, როგორც ბარათს, რომელიც თავისუფალ წასასვლელ გზას აძლევს. ამიტომ შნებელის დაჭერა კანონიერ განკარგულებად ვერ ჩაითვლება.

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ამაღლება 14 მაისს, სულთმოფენის მოსვლა 24 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

აპრილი 30 დღით არის.

**17 დღე** პარასკევი. ეპისკ. სვიმეონისა კათოლ. რუდოლფისა და ფორტუნატისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57, ტფილისში მზე ამოდის 5—0, ჩადის 6—56.

**18 დღე** შაბათი. ღირს. იოანესი და კოსმასი. კათოლ. აპოლონისა და ნაპოლეგნისა. მუსულმ. მე-8 დღე შაბანის თთვისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარ. შუა-დღე 11—57, ტფილისში მზე ამოდის 4—58, ჩადის 6—57. მთვარე 8 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

15 აპრილიდამ 1 მაისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა | 3 | |
| › 2 › | $2^1/_2$ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | $3^1/_2$ | › |
| › › 3 › | 3 | › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა | 4 | › |
| მე-3 — | $3^1/_2$ | › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | › |
| › 2 › | 7 | › |
| სუკი. | 14 | › |
| ცხვრის ხორცი | 10 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › | › |
| › 2 › | › | › |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით-

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

# კერძო განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თვით ავტორთან და ქუთაისში—ჭილაძის მაღაზიაში

**ორი მოთხრობა**

ს. მგალობლიშვილისა

I მცვრევაზე

II დიდ ზალაში

**ფასი ორი შაური.**

---

ისყიდება

## კონფექტები რუსთაველი

ეს „კონფექტები" კარგად შემზადებულია; თითოეული „კონფექტი" შეხვეულია ქაღალდში, რომელზედაც დაბეჭდილია **ხატკეთესო** და ანდაზად გადაქცეული ლექსები „ვეფხვის ტყაოსნიდგან" და წვეულებებში შეადგენენ საუცხოვო შესაქცევარსა.

კანდიტერი ი. უზბაშოვი,

ერევნის მოედანზე, წინამძღვრიაანთ სახლებში.

(3—1)

---

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულბან დეფოსი, თარგმანი რუსულიდგაე ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა."

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, სათავადაზნაურო ბანკის ქვეშ, არწრუნისეულ სახლებში (подъ помѣщеніемъ Тифлисскаго Дворянскаго Земельнаго б[а]нка) ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად.

---

თამბაქო და პაპიროსები

დონის როსტოველ მეფაბრიკეთა

## ძმათა ასლანიდებისა.

მაღაზია ყალამქაროვის სახლშია, სასახლის ქუჩაზე, ტფილისში.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პაპიროსის **მწეველთა და თუთუნის გამჭრელთა**, რომ ამა წლის 15 თებერვლიდგან ჩვენ დავიწყეთ **თამბაქოს გაჭრობა**; ვყიდით ყველა გვარისა და ღირსების თუთუნსა და პაპიროსებს ჩვენის ფაბრიკისას. ჩვენი თუთუნი ისეთის განსაკუთრებულის თვისებისაა, **ისეთი კარგი მოსაწევია, გრილია და სასიამოვნოდ სუნელოვანი**, რომ დიდი ხმა აქვს გავარდნილი და დიდ-ძალიც ისყიდება რუსეთის იმპერიის ბევრს დიდს ქალაქებში და სამზღვარ-გარედ. ტფილისში და ამიერ-კავკასიაში დღემდე ჩვენი თუთუნი არ იყო ხმარებაში. ამიტომ დღეს გავმართეთ ზემოხსენებული საფაბრიკო მაღაზია და გვსურს გავავრცელოთ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი.უმორჩილესად ვსთხოვთ პაპიროსისა და თუთუნის მწეველთ, ინებონ და იგემონ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი და პაპიროსები.

ბბ-ნთ გამჭრელთ იმდენი დავუთმობათ თუთუნის ხყიდვის დროს, რამდენსაც საზოგადოდ ფაბრიკები უთმობენ ხოლმე.

მეფაბრიკენი ძმანი ასლანიდები

(25—11)